შ.პ.ს. საპროექტო
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

L.T.D. projecting
architect-design studio
„BAZISI XXI“

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

№ 125/14

„24“ ოქტომბერი. 2014წ

## საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე №01.18.06.011.036 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი ალბომის სახით.

საპროექტო ორგანიზაცია: შ.პ.ს. „მევატეკ ჯე“
პრ. მთ. კონსტრუქტორი: გ. გეთიაშვილი
ექსპერტი-კონსტრუქტორი: ვ. ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“

საპროექტო ობიექტი მდებარეობს მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 01.18.06.011.036.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახურის" მიერ 2013 წლის 22 ოქტომბრის №1008891 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამ ეტაპზე მშენებლობა დასრულების სტადიაშია.

წარმოდგენილი პროექტის კორექტირებით გათვალისწინებულია მხოლოდ შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

-3.60 ნიშნულზე, "ა-დ" ფასადის მხარეს "7" ღერძთან გათვალისწინებულია შენობის გაზრდა ორი მალით, სადაც მოეწყობა ავტოსადგომები;

+3.60 ნიშნულზე, "9-1" ფასადზე "2-1 და 6-5" მონაკვეთებში მოეწყო აივნები, რომლებიც გადაიხურება ლითონის პერგოლით. ასევე "5-2" მონაკვეთში მოეწყო ლითონის პერგოლა კარბოლუქსის შემინვით. კონსტრუქციული თვალსაზრისით საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითურ კარკასულ ნაგებობას, რომლის შემავსებლად გამოყენებულია სამშენებლო ბლოკები.

„6“ ღერძისა და „გ“ ღერძის გასწვრივ კონსტრუქციული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია სეისმური ნაკერის მოწყობა (სიგანით 30მმ). აღნიშნული ნაკერის მოწყობა გამოწვეულია მოქმედი სამშენებლო სეისმური ნორმებისა და წესების მოთხოვნით.

### დასკვნა:

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე №01.18.06.011.036 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს ობიექტის საერთ მდგრადობაზე, კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
გენ. დირექტორი /ი. ცერცვაძე/
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
ექსპერტი-კონსტრუქტორი /ვ. ჯაფარიძე/